საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

N 010

27-09-2021

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ნაგობერი-1"-ს (ს/კ: 405446904) მიერ დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მშვიდობაურის და ნაგომარის ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 26.23.26.096; 26.23.26.097; 26.23.26.098; 26.11.18.070) ჯამური ფართით 218 455 $მ^2$ მოცვის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად, სამელიორაციო სისტემის და წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

აღნიშნულ ნაკვეთებზე ნარგავების განაშენიანების ფართი შეადგენს 170000 $მ^2$-ს (17 ჰა), ასევე მოეწყობა რეზერვუარი და სარწყავი მილსადენის სისტემა. ხოლო, ძირითადი მილსადენი და სატუმბი (მდინარეს მიმდებარედ) განთავსდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე.

დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 1.3 ქვეპუნქტით (სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ შპს „ნაგობერი-1"-ს (ს/კ: 405446904), სოფელ მშვიდობაურის და ნაგომარის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, მოცვის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად, სამელიორაციო სისტემის და წყალშემკრები ჰიდროტენიკური ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას და ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება შპს „ნაგობერი-1"-ის (ს/კ 405446904), სოფელ მშვიდობაურის და ნაგომარის ტერიტორიაზე, სამელიორაციო სისტემის და წყალშემკრები ჰიდროტენიკური ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.

შპს ნაგობერი 1 · 83 ი.ჭავჭავაძის გამზირი, ბ ბლოკი, ბინა 22 ·
თბილისი 0162 · საქართველო
მობ: +995 599 28 55 99
რეგ. ნომ: 405446904

№ 17375
27 09 21

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;
- დანართი: 1 დისკი.

პატივისცემით,

შპს „ნაგობერი-1"-ს დირექტორი

ალექსანდრე ჩხიკვიშვილი

Aleksandre Chkhikvishvili

Digitally signed by Aleksandre Chkhikvishvili
Date: 2021.09.24 12:32:54

შპს ნაგობერი 1 · 83 ი.ჭავჭავაზის გამზირი, ბ ბლოკი, ბინა 22 ·
თბილისი 0162 · საქართველო
მობ: +995 599 28 55 99
რეგ. ნომ: 405446904